პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 119 (4629)

1972 წ. 20 ივნისი, სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ფოტოინფო

## ტურისტულ ბილიკებზე

პოლონეთი. დადგა ზაფხული — დასვენებისა და მოგზაურობის ხანა. უამრავი სტუმარი ჰყავს მაზურის ტბებსა და კარპატის მთებს, პოლონეთის ხალხის ისტორიასთან დაკავშირებულ ადგილებს.

სურათზე: ტურისტები მაზურის ტბების რაიონში.

ცაფ — საკდესის ფოტო.



## [illegible]-72

● **მოსკოვი,** 18 ივნისი. ცსკა-ს სპორტის სასახლეში დღეს საღამოს დამთავრდა მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატი. ოქროს მედლები მოიპოვეს (წონითი კატეგორიების მიხედვით): ვ. ივანოვმა (ვოლგოგრადი), ბ. ზორიკტუევმა (მოსკოვი), ა. ლევიშჩევმა (სევასტოპოლი), ბ. კუზნეცოვმა (ასტრახანი), გ. დობროხოტოვმა, ა. კამნევმა (ორივე — მოსკოვი), ა. ბერეზიუკმა (ბობრუისკი), ვ. ტრეგუბოვმა (ვოლგოგრადი), რ. რისკიევმა (ტაშკენტი), ნ. ანფიმოვმა (სამარყანდი) და ვ. ბინგიალისა (კაუნასი).

● **ამსტერდამი, 18 ივნისი.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა მოსკოველმა დიდოსტატმა ლ. პოლუგაევსკიმ, რომელმაც 12 ქულა დააგროვა 15-დან. II ადგილზეც საბჭოთა დიდოსტატი — ლენინგრადელი ვ. კორჩნოი გავიდა, რომელიც გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა. III ადგილი დაიკავა უნგრელმა დიდოსტატმა ლ. საბომ — 9 ქულა.

● **ლას-პალმასი,** 18 ივნისი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ გამართული საერთაშორისო ტურნირის ბოლო ტურში დანიელმა დიდოსტატმა ბ. ლარსენმა მოულოდნელად წააგო იტალიელ ტატაისთან. ამით შესანიშნავად ისარგებლა უნგრელმა დიდოსტატმა ლ. პორტიშმა და I ადგილიც დაიკავა — 12 ქულა 15-დან. II-III ადგილები გაიყვეს ლარსენმა და მოსკოველმა დიდოსტატმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა — 11-11 ქულა. 10 ქულით IV ადგილზეა მოსკოველი დიდოსტატი დ. ბრონშტეინი.

● **პლიმუთი,** 18 ივნისი. ინგლისის ამ საპორტო ქალაქში გუშინ სტარტი აიღო აფროსანთა ტრანსატლანტიურმა რბოლამ. მან იახტების სარეკორდო რაოდენობას მოუყარა თავი — ბრძოლაში 54 ნავი ჩაება. მამაც ნაოსნებს ფინიში ნიუ-პორტში (აშშ) ექნებათ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რბოლაში ორი ქალი მონაწილეობს. კვლავ დაადგა გზას 70 წლის სახელგანთქმული ინგლისელი აფროსანი ფრენსის ჩიჩესტერი.

● *ედინბურგი, 18 ივნისი. პოლონელმა მძლეოსნებმა დიდი ბრიტანეთის ნაკრებ გუნდებთან გამარჯვება იზეიმეს: ვაჟებმა ანგარიშით 117,5:92,5, ხოლო ქალებმა — 67.66. შეჯიბრების ბოლო დღეს ვ. ბუციარსკიმ პოლონეთის რეკორდი დაამყარა ჭოკით ხტომაში — 525 სმ. ამ მატჩში მესამე გამარჯვება იზეიმა ცნობილმა ი. შევინსკამ. ამჯერად იგი პირველი იყო 100 მეტრზე რბენაში — 11,6.*

● **ვარშავა, 18 ივნისი.** პოლონეთისა და ბულგარეთის მძლეოსანთა შეჯიბრებაში ც. ზლატევამ ბულგარეთის რეკორდით გაიმარჯვა 800 მეტრზე რბენაში — 2.02,0. ამ ქვეყნის რეკორდი დაამყარა ი. ხრისტოვამაც, რომელმაც 19,49 მეტრზე ჰკრა ბირთვი. ასევე პირველად დაძლია 18-მეტრიანი ზღვარი ახალგაზრდა რ. სტოიანოვამ. მისი ბირთვი 18,25 მეტრზე დაეცა.

● **სიეტლი,** 18 ივნისი. ამერიკის შეერთებული შტატების სამოყვარულო ატლეტური კავშირის მძლეოსანთა პირველობაში 21 წლის დ. რობერტსმა ჭოკით ხტომაში 549 სმ აჩვენა. ასეთ დიდებულ შედეგს მანამდე მძლეოსნობის ისტორიაში მხოლოდ სამმა სპორტსმენმა მიაღწია. ნაკლებად ცნობილმა ჯ. ქოულმა ყველას აჯობა 1500 მეტრზე რბენაში — 3.38,2 (მეორე შედეგი წლეულს მსოფლიოში). ბადროს ტყორცნაში ბადალი არ ჰყავდა მსოფლიო რეკორდსმენს ჯ. სილვესტრს — 64,92 მ. 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ჩ. სმითმა (20,6), ხოლო სიმაღლეზე ხტომაში — ბ. შურმა (218 სმ).

● **ლიუდენშაიდი (გფრ),** 18 ივნისი. დასავლეთ გერმანიის სპრინტერებმა აქ გამართული ესტაფეტა $4 \times 100$ **მეტრზე 39 წამში დაამთავრეს. კ. ელმა 100 მ 10,2 წამში გაირბინა, ხოლო 19 წლის ბ. შერმანმა — 400 მ 45,7 წამში. ლ. ვესტერმანმა 62,60 მეტრზე ტყორცნა ბადრო.**

● **კოპენჰაგენი,** 18 ივნისი. მსოფლიოს არაერთგზისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. მორელონმა (საფრანგეთი) ადგილობრივველოტრეკზე სპრინტერულ რბოლაში გამარჯვებით „დანიის დიდი პრიზი" მოიგო. ფინალში მან ორჯერ აჯობა დანიელ პ. პედერსენს, — ბოლო 200 მ შესაბამისად 11,1 და 11,2 წამში დაფარა.

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

ФIDE

**გუშინ...**

რიგაში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩის მეთოთხმეტე პარტია. თეთრებით კუშნირი თამაშობდა.

პარტია არ დამთავრებულა. კუშნირს, რომელმაც 41-ე სვლა ჩაიწერა, ენდშპილში ზედმეტი პაიკი აქვს.

**ჭადრაკი**



ალტაის მხარე. მდინარე სემზე.

ე. ლოგვინოვის ფოტო (საკდესი).

**20 ივნისს**

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში შედგება **ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა.**

დასაწყისი 18 ს.

ფედერაციის ყველა კომისიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

## რეკორდები

**ჰააგა, 19 ივნისი.** თავისუფალი სტილით 1500 მეტრზე ცურვაში ევროპის რეკორდი დაამყარა ჰოლანდიელმა ჰანსიო ბუისხოტენმა — 17.46,3.

ეს შესანიშნავი შედეგი 13 წლის მოსწავლე გოგონას პირველი შესწორება როდია მიღწევათა ცხრილში. წლეულს მარტში მან დრეზდენში კონტინენტის რეკორდები დაამყარა 400 (4.31,1) და 800 მეტრზე (9.16,7) ცურვაში.

## კარგი გაკვეთილი

**ზაგრები, 17 ივნისი.** კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი აშშ-ს ოლიმპიურ გუნდსა და ევროპის ნაკრებს შორის დღეს ჩატარდა ადგილობრივ სპორტის სასახლეში. „ძველი სამყაროს" სპორტსმენებმა კოლექტიური თამაშის ჩინებული მაგალითი აჩვენეს კალათბურთის ფუძემდებლებს და გაიმარჯვეს საკმაოდ დიდი ანგარიშით — 102:75 (47:36).

ევროპის ნაკრების შემადგენლობაში წარმატებით ითამაშეს საბჭოთა კალათბურთელებმაც. ა. ჟარმუხამედოვმა თავის კოლექტივს 20 ქულა შესძინა, ს. ბელოვმა — 14, მ. პაულაუსკასმა — 8, ა. ედეშკომ — 6.

ხვალ ჟენევაში გაიმართება აღნიშნული გუნდების განმეორებითი შეხვედრა. აქვე შედგება ფიბა-ს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

## პლანერები ცაში

**ორიოლი, 18 ივნისი.** საერთო ჯამში 60 ათასი კილომეტრი იფრინეს დღეს აქ დამთავრებული საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილე ცხრა სოციალისტური ქვეყნის პლანერისტებმა. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველმა მოასპარეზემ შვიდი ვარჯიშის შესრულებისას ათასზე მეტი კილომეტრი დაფარა.

გუნდური გამარჯვება საბჭოთა პლანერისტებმა იზეიმეს — 30264 ქულა. მეორე შედეგი (28991 ქულა) გდრ-ის ნაკრებს აქვს. III ადგილი დაიკავა უნგრეთის გუნდმა — 27882.

საუცხოოდ იასპარეზა ტალინელმა პლანერისტმა ქალმა ე. ლაანმა: შვიდი ვარჯიშიდან მან ხუთი მოიგო. II ადგილზეა ცნობილი საბჭოთა პლანერისტი მ. აფრიკანოვა, ხოლო III — უნგრელი მ. ბოლა.

მრავალჭიდში წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ: ღია კლასში — ი. ლინკს (6112 ქულა), სტანდარტულ კლასში — ი. კუზნეცოვს (6364). ამ კლასებში საპრიზო ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ: პოლონელი ი. ზებრო (6099) და აღმოსავლეთგერმანელი პ. კლოზე (6034); გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ბ. ნოლტე (6265) და სსრ კავშირის პლანერისტი ე. რუდენსკი (6238).

ლ. ანდონოვამ (ბულგარეთი), ვ. გუდცოვამ (ჩეხოსლოვაკია), მ. ფინესკუმ (რუმინეთი); ლ. ხერესმა (კუბა) და სხვებმა რამდენიმე ეროვნული რეკორდი დაამყარეს.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ი. ბობრიცინმა განაცხადა, რომ სოციალისტური ქვეყნების პლანერისტებმა მზარდი ოსტატობა გამოავლინეს. ტურნირი ძალთა საუკეთესო შემოწმებად მოგვევლინა საპლანერო სპორტში მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც ამ ზაფხულს გაიმართება იუგოსლავიაში.

გაზეთ „კომუნისტის" პრიზზე







# ხუთმა წამმა გადაწყვიტა

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდების ტურნირი ესტაფეტაში — თბილისის წრე გაზეთ „კომუნისტის" პრიზზე, რომელსაც საფუძველი შარშან, გაზეთის დაარსების 50 წლისთავის ზეიმის დღეებში ჩაეყარა. მაშინ პრიზი დინამოელებმა მოიპოვეს. შეჯიბრებაში ამჯერადაც „დინამოს", „ბურევესტნიკის", „განთიადის", „სპარტაკის", „ლოკომოტივისა" და „შრომითი რეზერვების" სამ-სამი ნაკრები გამოდიოდა. მთავარი პრიზისთვის ბრძოლის შედეგებში სამივე ნაკრების მაჩვენებლები შედიოდა.

ტრასა, რომელიც „კომუნისტის" რედაქციასთან იწყებოდა, თოთხმეტ ეტაპად დაიყო. შეჯიბრების მონაწილეებს რუსთაველის პროსპექტი, ლენინის მოედანი, გორგასლის მოედანი, მეტეხის ხიდი, მარცხენა სანაპირო, პლეხანოვის პროსპექტი, მარჯანიშვილის მოედანი, ჩელიუსკინელთა ქუჩა, გმირთა მოედანი უნდა გაევლოთ და ლენინის ქუჩით ისევ რედაქციის შენობასთან დაბრუნებულიყვნენ.

სტარტზე ექვსი საზოგადოების 18 მძლეოსანი ვაჟი მოეწყო. შემდეგ ეტაპზე ესტაფეტა ქალებს მიჰქონდათ. მეტეხის ხიდამდე მძლეოსანი ვაჟები და ქალები ერთმანეთს ცვლიდნენ. მეტეხის ხიდიდან ბრძოლაში ველოსიპედისტები ჩაებნენ...

მძლეოსნები სულ თერთმეტ, ხოლო ველოსიპედისტები სამ ეტაპზე გამოდიოდნენ.

ფინიშთან პირველი „ბურევესტნიკის" პირველი გუნდი მივიდა. ამ საზოგადოების 14 სპორტსმენმა ტრასის შემოვლას 16 წუთი და 59 წამი მოანდომა. სპარტაკელები მათ 5 წამით ჩამორჩნენ, ხოლო პრიზის უწინდელი მფლობელები — დინამოელები 12 წამით.

როცა საზოგადოებათა ყველა გუნდის შედეგები შეაჯამეს, პირველობა აქაც სტუდენტთა კოლექტივმა დაისაკუთრა და „კომუნისტის" პრიზს დაეპატრონა. II ადგილზე „სპარტაკი", III — „დინამო".

ე. გელაშვილი.

• • •

სურათებზე: შეჯიბრების სტარტი; ესტაფეტის ფინიშთან; „ბურევესტნიკის" ნაკრები.

ვ. რუსეცკის ფოტოები.



## ახალი კომპლექსის დასანერგად

პარტიის გულრიფშის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკების, დოსაafis კომიტეტის, სამხედრო კომისარიატისა და სამოქალაქო თავდაცვის რაიონული შტაბის წარმომადგენელთა რაიონული თათბირი, რომელმაც „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ცხოვრებაში გატარების ღონისძიებებზე იმსჯელა.

მოხსენებით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ფარცვანია.

კამათში მონაწილეობდნენ: თავდაცვის რაიონული შტაბის უფროსი კ. დოგონიანცი, დოსაafis რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ზარქუა, რაიონის სამხედრო კომისარი ვ. ხვარცკია, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი ვ. შულაია.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის გულრიფშის რაიკომის მეორე მდივანი ო. გიუველიანი და აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ო. ქეკელია.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

გულრიფში.

## ხელყუმბარა შორს მიფრინავდა

საქართველოს კომკავშირის სამტრედიის რაიკომი დროულად შეუდგა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებას.

კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის სტადიონზე თავი მოიყარეს კომკავშირის რაიკომის აპარატის მუშაკებმა, კოლმეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებების კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნებმა.

შეჯიბრებაში 20 ვაჟი და 22 ქალი მონაწილეობდა.

ღერძზე მიზიდვაში ოქროს სამკერდე ნიშნის ნორმატივი შეასრულა ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ს. ზაქარეიშვილმა, ხოლო ტანვარჯიშულ სკამზე ქალთა ნორმატივი — ადგილობრივი მრეწველობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ს. ბარათელმა.

სიგრძეზე ხტომაში „ოქროს" ნორმატივები ჩააბარეს: ვაჟებში — ლ. ნაცვლიშვილმა (№ 28 პროფტექნიკური სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი), ქალებში — ლ. კახიანმა (სოფელ საჯავახოს ტერიტორიული ორგანიზაციის მდივანი).

100 მეტრზე რბენაში ჩაბარებულია რვა ჩასათვლელი ნორმატივი ვერცხლის სამკერდე ნიშანზე.

ყველაზე იოლი გამოდგა ხელყუმბარის ტყორცნა: ამ სახეობაში მოთხოვნები 30 კაცმა ვერცხლის, ხოლო ექვსმა ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა.

1000 მეტრზე კროსში პირველობა არავის დაუთმო მ. კუპრეიშვილმა (ჩაის ფაბრიკა). ქალთა შორის 500 მეტრზე კროსში იმარჯვა ე. დარჯანიამ (მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა).

ჟ. ვაშაკიძე.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია.

## იუნიორთა რეკორდები

გმირ ქალაქ ბრესტში დამთავრდა შეიარაღებული ძალების იუნიორთა საკავშირო პირველობა, რომელშიც 150-ზე მეტი ძალოსანი მონაწილეობდა. დამყარდა იუნიორთა რამდენიმე საკავშირო რეკორდი. უმძიმეს წონაში კიეველმა ი. კუბიტოვიჩმა 96,5 კგ აწია. ნახევრად მძიმე წონის ლენინგრადელმა ათლეტმა ი. სმირნოვმა შეიარაღებული ძალების რეკორდი დაამყარა აჭიმვაში — 151 კგ. მას მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა სამჭიდშიც — 445 კგ. ბელორუსიელმა ე. ერმოლჩიკმა 132,5 კგ აიტაცა და თავისი რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა არა მარტო იუნიორებს, არამედ უფროსებს შორისაც.

კიდევ ერთი საკავშირო რეკორდი დაამყარა ლვოველმა გ. მარკინმა (ზემძიმე წონა), რომელმაც 171,5 კგ აჭიმა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს კარპატისპირეთის სამხედრო ოლქის ძალოსნებმა.



## მოსწავლეთა რესპუბლიკური...

## დარჩა ორი სახეობა

კლასიკურ ჭიდაობაში I ჯგუფის კოლექტივთა გუნდური პირველობა თბილისის ნაკრებმა მოიპოვა (190 ქულა). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ქუთაისის (177), აჭარის (162), რუსთავის (158), ონის (148) და აფხაზეთის (111) წარმომადგენლები. II ჯგუფის გუნდებში უძლიერესი იყო მახარაძის ნაკრები (87 ქულა). II ადგილზე გავიდნენ წყალტუბოელები (79), III — თერჯოლელები (77).

კალათბურთში საშუალო ასაკის გუნდებმაც დაამთავრეს შეჯიბრება. გოგონათა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი (10 ქულა), 2. აფხაზეთი (8), 3. აჭარა (6), 4. რუსთავი (4), 5. ქუთაისი (2), 6. სამხრეთ ოსეთი (0); ჭაბუკები. 1. თბილისი (10), 2. აფხაზეთი (8), 3. აჭარა (5), 4. ქუთაისი (4), 5. რუსთავი (3), 6. სამხრეთ ოსეთი (0).

მაგიდის ჩოგბურთში ტურნირები ხაშურში გაიმართა. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: გოგონები. 1. თბილისი (5 ქულა), 2. აჭარა (4), 3. ქუთაისი (3), 4. სამხრეთ ოსეთი (2), 5. რუსთავი (1), 6. აფხაზეთი (0); ჭაბუკები. 1. აჭარა (5), 2. თბილისი (4), 3. რუსთავი (3), 4. სამხრეთ ოსეთი (2), 5. ქუთაისი (1), 6. აფხაზეთი (0).

მოახლოვდა ფინიში: ჩატარდება შეჯიბრებები თავისუფალ ჭიდაობასა და ცურვაში და სპარტაკიადაც დამთავრდება.

## ქართული ჭიდაობა ჩვენი სისხლი და ხორცია

ყოველთვის, როცა კი ლაპარაკია ქართული ჭიდაობის განვითარების გზებზე, როცა ვაფასებთ ჩვენი ეროვნული საუნჯის აწმყოსა და მომავალს, მხედველობაში გვაქვს ის სახელოვანი წარმატებები, რომლებსაც საქართველოს ფალავნებმა ჭიდაობის ამა თუ იმ სახეობაში მიაღწიეს. ქართული ჭიდაობა არათუ მჭიდრო კავშირშია სამბოსთან, ძიუდოსთან, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობასთან, არამედ მათს თავისებურ საფუძველსაც წარმოადგენს. სწორედ ამ თვისობრივი კავშირით და ნათესაობითაა განპირობებული ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა საქვეყნო გამარჯვებები.

ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ, როცა ქართული ჭიდაობის პრობლემებზე გვაქვს საუბარი, ჭიდაობის კლასიკურ სახეობებსაც ვგულისხმობთ. ჩვენ ვამბობთ, რომ ბოლო ხანებში შესამჩნევად იკლო ქართული ჭიდაობის პოპულარობამ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. ეს კი ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან კრიზისის პირას აღმოჩნდება ჭიდაობის სხვა სახეობებიც და გართულდება სრულფასოვანი რეზერვის მიღება რაიონებიდან.

ქართული ჭიდაობის მომავლით ნაკლებად არიან დაინტერესებული სპორტსაზოგადოებები, საწარმოები, დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები. წინათ არა ერთი და ორი შეჯიბრება იმართებოდა ქალაქში, რაიონულ ცენტრებში, სოფლად... ახლა ჭიდაობის ავ-კარგით დაინტერესებული არიან მხოლოდ ენთუზიასტები, რომლებსაც საჭირო მხარდაჭერა არა აქვთ.

ყოველივე ამაზე ამას წინათ გულახდილად ისაუბრეს ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის წევრებმა. ბევრი რამ სასარგებლო და საგულისხმო ითქვა. აღინიშნა მარცხის მიზეზები და დაისახა მათი გამოსწორების გზები.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ბალავაძემ გააკრიტიკა საშუალო სკოლების მასწავლებელთა უხერხემლო და სუსტი მუშაობა. მისი აზრით, უმთავრესად ქართლისა და კახეთის სკოლებმა უნდა აღზარდონ ჭიდაობის მოყვარული და მოტრფიალე ახალგაზრდები, რომლებიც მხარში ამოუდგებიან ვეტერანებს, ისწავლიან, მერე კი მათსავე ადგილს დაიკავებენ. სამწუხაროდ, საშუალო სკოლების უინიციატივო და დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებლები მხოლოდ ზედაპირული საქმიანობით იფარგლებიან.

ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს და წინადადება წამოაყენეს მოწინავე სპეციალისტებმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელებმა ბ. მაზიაშვილმა, ქ. ნინიაშვილმა, ძველმა ფალავანმა და ქართული ჭიდაობის დიდმა ქომაგმა გ. კახნიაშვილმა. მათ გულახდილად ილაპარაკეს წესრიგის დარღვევის ყოვლად დაუშვებელ ფაქტებზე, მსაჯთა დაბალ კვალიფიკაციაზე, სპორტსაზოგადოებების ხელმძღვანელთა უყურადღებობაზე.

ერთ-ერთი წინადადება ეხებოდა გლდანის სკოლა-ინტერნატში ქართული ჭიდაობის ჯგუფის გახსნას. შესაძლოა ეს წინადადება პრაქტიკულად განუხორციელებელი გვეჩვენოს გლდანის მაგალითზე, მაგრამ ხომ შეიძლება მსგავსი რამ შეიქმნეს ქართლისა და კახეთის რომელიმე რაიონში, სადაც განსაკუთრებით პოპულარულია ქართული ჭიდაობა?

ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად დაასახელეს ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის სრული უმოქმედობა წლების მანძილზე. მომხსენებელმა — ი. ტერუნაშვილმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ფედერაცია ფაქტიურად არც არსებობდა. მას არც ერთი სხდომა არ მოუწვევია, არც ერთხელ არ განუხილავს ქართული ჭიდაობის საჭირბოროტო საკითხები.

პლენუმის ამოცანაც სწორედ ეს იყო: შეექმნა საქმიანი ფედერაცია — ხელმძღვანელი საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც ამიერიდან გულისხმიერად და ოპერატიულად იმუშავებს. პლენუმის მონაწილეთა ერთსულოვანი მხარდაჭერით აირჩიეს ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ სპორტის ამ სახეობის ვეტერანები, ენთუზიასტები, სპეციალისტები.

ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. ქარუმიძე — თბილისის უნივერსიტეტის პარტბიუროს მდივნის მოადგილე, მოადგილეებად — ვ. ხომერიკი და შ. სუხიშვილი, პასუხისმგებელ მდივნად — ი. ტერუნაშვილი.

მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა ერთხმად აირჩია ო. გულისაშვილი, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ კი ნ. ნინიაშვილი.

## საერთაშორისო ტურნირი სოხუმში

15 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე სოხუმში ჩატარდება სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა ქვეყნისა და საზღვარგარეთის ცნობილი დიდოსტატები.

## მოროზოვა და მეტრეველი — კენტის საგრაფოს ჩემპიონები

კენტის (ინგლისი) საგრაფოს ტურნირში, რომელიც ტრადიციულად ბალახიან კორტებზე იმართება, წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა — მოსკოველმა ო. მოროზოვამ და თბილისელმა ა. მეტრეველმა. ერთეულთა თანრიგებში მათ უძლიერესთა წოდება მოიპოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი-72

# გფრ-ის გუნდი ჩემპიონი

**გფრ — სსრ კავშირი**

**3 : 0**

**ბელგია — უნგრეთი**

**2 : 1**

უდიდესი ინტერესი გამოიწვია ევროპის ჩემპიონატის ფინალურმა მატჩმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ბრიუსელის სტადიონი „ჰაიზელი" გუშინწინ პირთამდე აივსო — 66 ათასზე მეტი მაყურებელი მოვიდა. თამაშის მსვლელობას თვალს ადევნებდა ასეული მილიონობით ფეხბურთის მოყვარული.

ფინალური მატჩი ყოველმხრივ შეეფერებოდა იმ ინტერესს, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს ფეხბურთის სამყაროში. იგი ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე, დაძაბულად. განსაკუთრებული მოწონება ხვდათ დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელებს, რომლებმაც სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის საპატიო ტიტული.

გფრ-ის ნაკრების დიდი პროგრესი ყველასთვის ნათელია. გუნდმა ამჯერადაც დაამტკიცა, რომ ახლა ერთ-ერთი უძლიერესია პლანეტაზე და მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის უპირველესი ფავორიტიც გახლავთ. ფაქტიურად, გერმანელებს არა ჰყავთ არათუ სუსტი რგოლი, არამედ, საერთოდ, რამდენადმე მაინც შესამჩნევად სუსტი მოთამაშე. გუნდი წარმოადგენს ვეტერანებისა და ახალგაზრდობის შესანიშნავ ანსამბლს, რომელიც უხადო მექანიზმივით მოქმედებს მთელი მატჩის მსვლელობაში. ძალიან საიმედოდ თამაშობს მეკარე მაიერი, დაცვაში შეცდომას თითქმის არ უშვებენ, ხოლო მისი წამყვანი მოთამაშე, ცენტრალური მცველი ბეკენბაუერი მთელი გუნდის მამოძრავებელი ძალაა. პირდაპირ საოცარია, როგორ ასწრებს ეს ფეხბურთელი თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებას კარის წინ და რა ტაქტიკური მახვილგონიერებით, დროულად, აქტიურად თამაშობს შუა მინდორშიც. იგი არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, მხოლოდ გარკვეულ სიტუაციებში გადმოდის წინ, არამედ სისტემატურად და დიდოსტატური ხელოვნებით ადუღაბებს კოლექტივის მოქმედებას შუა მინდორში. თავდამსხმელები გაშლილი არიან შეტევის მთელს ფრონტზე, უაღრესად ზუსტად ურთიერთმოქმედებენ და ხშირად ქმნიან სახიფათო მომენტებს, რომელთა დაგვირგვინება ევალება არა მარტო მთავარ ბომბარდირს მიულერს, არამედ მის პარტნიორებსაც.

გფრ-ის ნაკრებმა პირველივე წუთებიდან ხელთ იგდო საერთო ინიციატივა და მცირე გამონაკლისის გარდა არც გაუშვია იგი ხელიდან. მეკარე რუდაკოვს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა, მაგრამ იგი მაინც იძულებული გახდა სამჯერ გამოეტანა ბურთი ბადიდან. ორი ბურთი გაიტანა მიულერმა. ერთი — ვიმერმა.

გაიმარჯვეს რა ანგარიშით 3:0 (1:0), გერმანელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს ოქროს მედლები, ხოლო სსრ კავშირის ნაკრები II ადგილზე გავიდა.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს ფინალური მატჩი: გფრ — მაიერი, ჰიოტგესი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, ბრაიტნერი, ჰიონესი, ნეცერი, ვიმერი, ჰაინკესი, მიულერი, კრემერსი; სსრ კავშირი — რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, ტროშკინი, კოლოტოვი, კონკოვი (დოლმატოვი), ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (კოზინკევიჩი), ონიშჩენკო.

• • •

17 ივნისს ლიეჟში თამაშობდნენ III ადგილის პრეტენდენტები — ბელგიისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს ბელგიელებმა — 2:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ლამბერმა და ვან ჰიმსტმა. საპასუხო ბურთი 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა კიუმ.

## სსრ კავშირის პირველობა

## უმაღლესი ლიგა

**0 : 0**

17 ივნისს ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტი" და მოსკოვის „სპარტაკი".

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.



## ოლიმპიური კალენდარი

დამტკიცდა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის წინასწარი მატჩების კალენდარი.

**27 აგვისტო.** გფრ — მალაიზია, მაროკო — აშშ, ირანი — უნგრეთი, ბრაზილია — დანია.

**28 აგვისტო.** სსრ კავშირი — ბირმა, სუდანი — მექსიკა, განა — გდრ, კოლუმბია — პოლონეთი.

**29 აგვისტო.** გფრ — მაროკო, აშშ — მალაიზია, უნგრეთი — ბრაზილია, დანია — ირანი.

**30 აგვისტო.** სსრ კავშირი — სუდანი, მექსიკა — ბირმა, გდრ — კოლუმბია, პოლონეთი — განა.

**31 აგვისტო.** აშშ — გფრ, მაროკო — მალაიზია, დანია — უნგრეთი, ბრაზილია — ირანი.

**1 სექტემბერი.** მექსიკა — სსრ კავშირი, სუდანი — ბირმა, პოლონეთი — გდრ, კოლუმბია — განა.



## სსრ კავშირის ნაკრები — ვერცხლის პრიზიორი

სურათზე: სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. სხედან (მარცხნიდან): ექიმი ვ. მიშალოვი, უფროსი მწვრთნელი ა. პონომარიოვი, ვ. მუნტიანი, მ. ხურცილავა, ვ. ტროშკინი, ნ. აბრამოვი, ე. კოზინკევიჩი, ვ. კაპლიჩნი, რ. ძოძუაშვილი; დგანან — გ. ნოდია, ი. ისტომინი, ვ. ონიშჩენკო, ე. რუდაკოვი, ა. ბაიდაჩნი, ვ. მატვიენკო, ვ. პილგუი, ო. დოლმატოვი, ვ. კოლოტოვი, ა. ბანიშევსკი, ა. კონკოვი, გ. ევრიუჟიხინი, მწვრთნელი ნ. გულიაევი.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საკდესი).

## გამარჯვების საწინდარია ტაქტიკა და სისწრაფე

ბრიუსელი, 19 ივნისი (საკდესის კორ.). „მეტოქეებმა სისწრაფეში გვაჯობეს", — თქვა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. პონომარიოვმა. — დასავლეთგერმანელებს უფრო მრავალფეროვანი ტაქტიკაც ჰქონდათ. ამას გარდა, მინდორზე მოთამაშეებს ძალიან კარგად ესმით ერთმანეთისა. გფრ-ის გუნდი ამჟამად შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია, ჩვენს ნაკრებში კი ნახევარმცველებმა და თავდამსხმელებმა ცუდად ითამაშეს. ზოგიერთმა ფეხბურთელმა საერთოდ ვერ გაამართლა იმედი. მცველები კარგად თამაშობდნენ, მაგრამ მარტო დაცვით შორს ვერ წახვალ. როგორც მუდამ, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა ევგენი რუდაკოვი. თავგანწირულად თამაშობდნენ რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ კაპლიჩნი".

გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ჰ. შიონმა განაცხადა, რომ კმაყოფილია თავისი გუნდისა, რომელიც ფინალში სერიოზულ მეტოქეს შეხვდა. „იოლი გამარჯვების იმედი არ გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ახლახან საბჭოთა ფეხბურთელებმა მიუნხენში მარცხი იწვნიეს, — თქვა მწვრთნელმა. — მატჩმა ეს დაადასტურა. ჩვენების მხრივ ყურადღების მოდუნებას მყისვე საბჭოთა მოთამაშეების გარღვევები მოსდევდა, რაც იოლად შეიძლება ბოდა გოლით დამთავრებულიყო.

და მაინც, საბჭოთა კავშირის ნაკრები უფრო სუსტად თამაშობდა, ვიდრე მე ვვარაუდობდი. თანამედროვე ფეხბურთი მარტო კარგი დაცვა არ არის, იგი მძლავრი იერიშიც გახლავთ. საქმე მარტო ვარსკვლავებში როდია. წარმატებას განაპირობებს კარგი შეთანხმება, ურთიერთგაგება. ჩვენმა ფეხბურთელებმა უდიდესი სისწრაფე გვიჩვენეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვიმერი, რომელსაც მოტოციკლით თუ დაეწეოდა კაცი..."

## ანგარიშით... 10 : 0

გრძელდება ინგლისისა და იტალიის გუნდების ტრადიციული ტურნირი. მორიგ ტურში „რომამ" ანგარიშით 2:1 დაამარცხა „სტოკ-სიტი" და ახლა იტალიურ კლუბებს შორის საუკეთესო შედეგი აქვს (14 ქულა).

ტურნირის ლიდერმა „ბლეკპულმა" „ლანეროსის" კარში გაიტანა... 10 „მშრალი" ბურთი. სამაგიეროდ, ლიდერთა ჯგუფში მყოფი „ატალანტა" ასევე დიდი ანგარიშით (0:6) დამარცხდა „ლეისტერ-სიტისთან".

„კარლისლმა" სძლია „კატანძაროს" (4:1), ხოლო „სამპდორიამ" — „ბირმინგემს" (2:0).

„კალიარისა" და „სანდერლენდის" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 3:3.

(საკ. ინფ.).

# „ინდეპენდენსიას თასი"

ბრაზილიის ქალაქებში დაიწყო ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი.

მოგვყავს „ინდეპენდენსიას თასის" მონაწილეთა შემადგენლობა:

**პირველი ჯგუფი** — არგენტინა, აფრიკის ნაკრები, კოლუმბია, ცენტრალური ამერიკის ნაკრები, საფრანგეთი;

**მეორე** — პორტუგალია, ირლანდია, ჩილე, ეკვადორი, ირანი (ეს გუნდი, როგორც ოლიმპიური ფინალისტი, წარმოადგენს აზიას);

**მესამე** — იუგოსლავია, პერუ, პარაგვაი, ბოლივია, ვენესუელა.

შემდეგ **მეოთხე** ჯგუფში ჩაერთვიან ბრაზილია, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია და III ჯგუფში გამარჯვებული, ხოლო **მეხუთე** ჯგუფში ითამაშებენ ურუგვაი, სსრ კავშირი, I და II ჯგუფებში გამარჯვებულნი.

პირველი შეხვედრები ასე დამთავრდა: პორტუგალიის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა ეკვადორი, ირლანდიის ნაკრებმა — ირანი — 2:1, პარაგვაიმ — ვენესუელა — 4:1, ფრანგებმა — ცენტრალური ამერიკის ნაკრები — 5:0, არგენტინელებმა — აფრიკის ნაკრები — 2:0, იუგოსლავიელებმა — ვენესუელა — 10:0.

შემდგომ წრეში პორტუგალიელებმა მოუგეს ირანელებს — 3:0, ჩილემ — ეკვადორს — 2:1, პერუმ — ბოლივიას (3:0), მაგრამ პერუელები ამ მატჩის შემდეგ დამარცხდნენ პარაგვაისთან — 0:1.

საფრანგეთისა და აფრიკის გუნდების შეხვედრაში წარმატება ხვდათ ფრანგებს — 2:0. კოლუმბიამ მოუგო ცენტრალურ ამერიკას — 4:3.

# „მეგობრობის" ტრასაზე

**ალიტუსი, 18 ივნისი.** ლიტვის ამ ქალაქში დამთავრდა საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლის პირველი ნახევარი. ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელსაც „მეგობრობა" ჰქვია, ხუთი სოციალისტური ქვეყნის 15 ახალგაზრდული გუნდი მონაწილეობს.

5 ეტაპის შემდეგ ლიდერობს დ. კლეცინი (გდრ), რომელმაც 533 კმ 11 საათში, 58 წუთსა და 8 წამში დაფარა. მას 3 წამით ჩამორჩება პოლონელი მ. ნოვიცკი, 1 ლო წუთითა და 15 წამით — ლიტვის წარმომადგენელი ა. კაშინი.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრები, რომელსაც სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოპოვებული საუკეთესო შედეგისთვის (36:05.12) ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზი გადაეცა.

II ადგილზე არიან გდრ-ის ველოსიპედისტები, III — ესტონეთის წარმომადგენლები.

სპორტსმენებმა სტარტი კლაიპედაში აიღეს, ახლა კი, საზღვრის გადაკვეთის შემდეგ, გდანსკისკენ (პოლონეთი) მიმავალ გზას დაადგებიან.

ველოსპორტი

# მოკრძალებული გამარჯვება

მილანი, 18 ივნისი. სტადიონ „არენაზე" იტალიის, ბელგიის, რუმინეთისა და სსრ კავშირის მძლეოსან ვაჟთა მატჩის მეორე დღესაც ევროპის რეკორდი გამეორდა — ამჯერად 200 მეტრზე რბენაში. ამ დისტანციაზე ვ. ბორზოვი არ გამოსულა და 20,2 წამში ფინიშთან პირველი მიიჭრა პ. მენეა. ეს 20 წლის იტალიელი ჭაბუკი ორ დღეში ევროპის რეკორდის „ორგზის თანაავტორი" გახდა. მატჩის პირველ დღეს მან ბორზოვთან ერთად 100 მეტრზე რბენაში 10,0 აჩვენა. ახლა მას მომავალი ოლიმპიადის ფავორიტ სპრინტერთა შორის ასახელებენ. 200 მეტრზე საბჭოთა მორბენლებიდან საუკეთესოდ, მინსკელმა ვ. ლოვეცკიმ III ადგილი დაიკავა — 20,8.

უროს ტყორცნაში ბადალი არ ჰყავდა ევროპის ექს-ჩემპიონს, კიეველ ა. ბონდარჩუკს. ამ ორი წლის წინ მან მსოფლიოში პირველმა გადააჭარბა უროთი 75 მეტრს. ახლახან იგი პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა და უკვე ისევ ძველებური ძალით გამოდის სარბიელზე. მილანში ბონდარჩუკმა 75,04 მეტრზე ტყორცნა ურო. ეს ოლიმპიურ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგია.

3000 მეტრზე წინაღობებით რბენა მოიგო ა. მოროზოვისა (მოსკოვის ოლქი, 8.35,4) და ი. რუუსის (ტალინი, 8.39,0) „დუეტმა".

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა 400 მეტრზე თარჯრბენში. ფინიშის სწორზე ლენინგრადელი ი. ზორინი მკერდით ჩამორჩა იტალიელ ჯ. ბალატის. ორივეს შედეგია 50,4.

5 კმ-ზე რბენაში ნიჭიერი ბელგიელი სპორტსმენის ე. პუტემანსის (13.48,2) შემდეგ მეორე იყო ვილნიუსელი პ. შიმონელისი — 13.57,4.

ბადროს ტყორცნაში იტალიელ ს. სიმეონს 34 სმ-ით ჩამორჩა სსრ კავშირის რეკორდსმენი ვ. ლიახოვი (მოსკოვის ოლქი) — 60,26 მ.

ზოგიერთ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენებს აშკარად მოეცარათ ხელი. ასე იყო ჭოკით ხტომაში, სადაც საკმაოდ დაბალი შედეგით (5 მ) გაიმარჯვა იტალიელმა რ. დიონისიმ. ლვოველმა გ. გუსევმა და ხარკოველმა ე. ტანანიკამ საწყისი სიმაღლეც ვერ დაძლიეს. სამხტომში მსოფლიოს ექსრეკორდსმენმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, თბილისელმა ვ. სანეევმა 16,70 აჩვენა. იგი ჩამორჩა არა მარტო რუმინელ კ. კორბას, რომელმაც სეზონში მეორე შედეგი (17,10) აჩვენა, არამედ იტალიელ ჯ. ჯენტილესაც (16,72).

საბოლოო ჯამში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებს გამარჯვება ხვდა, მაგრამ შედეგები უაღრესად მოკრძალებული იყო. მაგალითად, იტალიის გუნდს, რომელიც ევროპაში არც ისე ძლიერად ითვლება, საბჭოთა მძლეოსნებმა სულ 12 ქულით აჯობეს (109:97).

სპორტული მოზაიკა

# 15 ახალი ოსტატი

სამბისტთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეორე დღეს გამოვლინდნენ პრიზიორები მძიმე, პირველ ქვესაშუალო, მეორე საშუალო და ქვემძიმე წონებში.

საინტერესო გამოდგა ბრძოლა მძიმე წონაში, სადაც ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისელი ძმები ჯუმბერ და ჯელილ ჯანანაშვილები. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ნახევარფინალში. დაძაბული ჭიდილი მოიგო უფროსმა ძმამ ჯუმბერმა. ფინალში მან გორელ შ. მელაძეს სძლია და ჩემპიონიც გახდა.

პირველ ქვესაშუალო წონაში წარმატების მეტი შანსი ჰქონდათ თბილისელ მოჭიდავეებს ა. ოქროპირიძესა და ა. მარგველანს. ეს უკანასკნელი კარგად ჭიდაობს ჩოქბჯენში, ხშირად იყენებს მტკივნეულ ილეთებსა და შეპოჭვას. სწორედ შეპოჭვის წყალობით გაიმარჯვა მან ოქროპირიძესთან ფინალურ შეხვედრაში და მეექვსედ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი.

მეორე საშუალო და ქვემძიმე წონებში ჩემპიონები გახდნენ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პრიზიორები — თბილისელი ა. მუზაევი და გორელი ნ. ქქვთიმიშვილი.

კვირას ჩემპიონატი დამთავრდა.

მსუბუქ წონაში თბილისელ ნ. ზეინაშვილს სულ რაღაც ნახევარ საათში ოთხჯერ მოუხდა ხალიჩაზე გამოსვლა. მან ჯერ პატარა უპირატესობით მოუგო თანაქალაქელ თ. დავითაშვილს, გადამწყვეტ ბრძოლაში კი ქულა წააგო ა. წიკლაურთან (თბილისი), რომელიც ჩემპიონი გახდა.

პირველი საშუალო წონის ფინალში თბილისელი ს. ნიჟარაძე და 17 წლის გორელი თ. ხუბულური იბრძოდნენ. გამარჯვება ნიჟარაძეს ხვდა.

მძიმე წონაში ჩემპიონის სახელი ქუთაისელმა ზ. მჭედლიძემ მოიპოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩემპიონატში 15 მოჭიდავემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მათი უმეტესობა იუნიორია.

**ვ. ძოგელაშვილი.**

რაგბი 72

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# შუნდს ვერ იცნობდით

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 18 ივნისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი (მაი) 9:13 (6:6).

„ლოკომოტივი": ფეტვიაშვილი, ნაცვლიშვილი, აიწურაძე, სანებლიძე (აკოფოვი), კემულარია, რეხვიაშვილი, თემურ რუხაძე, ხარშილაძე, კილასონია, გეგეშიძე, მირონოვი, აბაშიძე, თენგიზ რუხაძე, კაპანაძე, გოგორიშვილი (ცხვედიანი).

მაი: ხრომენკოვი, ბაშჩინსკი, ხავროშკინი (სლაბოდიანიუკი), იგნატიევი, შაპოვალოვი, უულიაგინი (ვირცერი), კულაკოვი, რისკინი, კოჟინი, ჩერენკოვი, შახნაზაროვი, ლიგინი, კუზმენკო, სიგაევი, ვარინსკი.

მსაჯი ე. ლომაკინი (ლენინგრადი).

მეტოქე გუნდების კაპიტნებმა რისკინმა და გეგეშიძემ თბილისის სტადიონზე რაგბისტთა საკავშირო პირველობის ალამი აღმართეს და მატჩიც დაიწყო. თავდაპირველად რკინიგზელებმა შეუტიეს. მიზნის მიღწევას ისინი ფლანგებიდან გარღვევით ცდილობდნენ, მაგრამ სტუდენტთა დაცვა ყურადღებით თამაშობდა და მასპინძლებს ჩათვლის მოედანზე ყველა შესასვლელს დროულად უკეტავდა.

21-ე წუთზე თენგიზ რუხაძემ, რომელიც მარაოს ბოლოში იყო, მეტოქეთა მარცხენა ფლანგზე თავმოყრით ისარგებლა და სტუმრების ჩათვლის მოედნისკენ გაიჭრა, მაგრამ ბოლო მომენტში ხავროშკინმა იგი ბურთიანად გვერდით ხაზს იქით გაიყვანა.

როცა გარღვევებით მიზანს ვერ მიაღწიეს, რკინიგზელებმა არეუნით დარტყმით სცადეს ბურთის გატანა, მაგრამ ანგარიშის გახსნა ვერ მოახერხეს.

და მაინც, 27-ე წუთზე „ლოკომოტივი" დაწინაურდა, როცა აბაშიძემ საჯარიმო ზუსტად დაარტყა — 3:0. ორიოდე წუთის შემდეგ კოჟინმა ასევე საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა.

შესვენებამდე ისევ აბაშიძემ და კოჟინმა თითო საჯარიმო გამოიყენეს — 6:6.

თბილისელები პირველ ტაიმში სუსტად თამაშობდნენ, შესვენების შემდეგ კი უფრო მოდუნდნენ და ინიციატივას სტუმრები დაეუფლნენ. შერკინებისას და მეტოქეთა იერიშის მოგერიების დროს თბილისელებმა რამდენიმე შეცდომა დაუშვეს. ერთ-ერთი ჯარიმა კოჟინმა ზუსტად გამოიყენა. მოსკოველები დაწინაურდნენ — 9:6. მასპინძლები მარცხის შიშით გამოფხიზლდნენ, სტუმრების კარზე იერიში იერიშზე მიჰქონდათ და თენგიზ რუხაძემ 32-ე წუთზე საჯარიმოთი წონასწორობა აღადგინა.

მატჩი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო. „ლოკომოტივი" მდგომარეობას შეურიგდა, ყურადღება კიდევ უფრო მოადუნა და დაისაჯა კიდეც: საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე მარცხენა ფრთაზე ბურთს ლიგინი დაეუფლა, წინ გაიჭრა და ბურთი მასპინძლების ჩათვლის მოედანზე დადო.

სპეციალისტები, რომლებმაც სსრ კავშირის ჩემპიონთან თბილისელთა პირველი კალენდარული მატჩიც ნახეს, ერთხმად ამბობდნენ, რკინიგზელთა ორი მატჩი ერთმანეთისგან ძირეულად განსხვავდებოდა. მონინოში „ლოკომოტივმა" ბრწყინვალედ ითამაშა, შინ კი თავისი შესაძლებლობის ნახევარიც ვერ გამოავლინა.

III ტურის შეხვედრები შაბათსა და კვირას გაიმართება. 24 ივნისს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი მოსკოვის „სპარტაკს" უმასპინძლებს, 25 ივნისს კი მოსკოვის „ფილი" — კიევის „დინამოს". იმავე დღეს ლენინგრადის „ბურევესტნიკი" საავიაციო ინსტიტუტს ეწვევა, ხოლო „ლოკომოტივი" — კიევის „სპარტაკს".

**ო. გელაშვილი.**

ახალი ამბები

სსრ კავშირის ჩემპიონმა — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა კიდევ ერთი ქულა დაკარგა. ლენინგრადის „ბურევესტნიკი" მას პუშკინოში მასპინძლობდა. მეტოქეებმა — ლენინგრადელმა ფ. შმაკოვმა და მოსკოველმა ა. ალიოშინმა თითო ჯარიმა გაიტანეს. საბოლოოდ ფრე — 3:3.

მოსკოვის „სპარტაკი" მეორე ტურშიც იმავე ანგარიშით (3:18) დამარცხდა, ამჯერად მას მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის" რაგბისტებმა სძლიეს. „ფილიმ" ზუსტად გამოიყენა ოთხი საჯარიმო, ერთხელ ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანზე დადო და რეალიზაციაც ზუსტად შეასრულა.

კვირისთვის დანიშნული კიევის „დინამოსა" და „სპარტაკის" მატჩი არ შემდგარა.

# საყვედური ახალგაზრდებისადმი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 17 ივნისი.

„დინამო" (თბილისი) — ოლიმპიური ნაკრები (უნგრეთი) 0:2 (0:0).

„დინამო": ჩლაიძე, ბუძიშვილი (გოგიჯანაშვილი), ჰელიძე, კანთელაძე, პეტრიაშვილი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე (გ. მაჩაიძე), ასათიანი, ყიფიანი, რეხვიაშვილი, ლ. ნოდია (წერეთელი).

ოლიმპიური ნაკრები: ხოიდუ, ტიორეკი, მაურერი, ლ. ხორვატი, დუნაი, ი. ხორვატი, ვოლეკი (კორშაი), ტაკაჩი, სურომი (ბეგეი), ბაშლი, ტოტი.

მსაჯი ი. სამუსენკოვი (მოსკოვი).

უნგრელთა სტუმრობა ჩვენს ქალაქში მრავალმხრივ იყო ღირსშესანიშნავი: ჯერ ერთი, დინამოელებს საკმაოდ ხანგრძლივი შესვენება გამოუვიდათ საკავშირო ჩემპიონატში და აუცილებლად სჭირდებოდათ ძლიერი სპარინგ-პარტნიორი ცსკა-სთან 23 ივნისის მატჩისთვის; მეორეც, თბილისის „დინამოს" ამ შემოდგომით უეფა-ს თასზე მოუწევს შეხვედრები და ასეთი კონტაქტები უცხოეთის გუნდებთან მისთვის აუცილებელია. ხომ შესაძლოა პირველივე მეტოქე სწორედ უნგრეთის რომელიმე კლუბი იყოს?

უნგრული ფეხბურთის ავტორიტეტი საყოველთაოდ ცნობილია. ამ ქვეყნის ნაკრები სამჯერ იყო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სულ ახლახან კი უნგრელები ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობდნენ. ესე იგი, დინამოელებს 17 ივნისს საინტერესო და ძლიერი მეტოქე ჰყავდათ.

უნგრელებმა თბილისში ჩამოსვლამდე „არარატს" სძლიეს ერევანში, ამასთან, საკმაოდ უჩვეულო სხვაობით — 5:4. თუ ამ ანგარიშით ვიმსჯელებთ, სავარაუდო იყო, რომ სტუმრებს ძალიან ძლიერი თავდასხმა უნდა ჰყოლოდათ, ხოლო დაცვა — შედარებით სუსტი. მაგრამ მატჩმა ამ ვარაუდის მხოლოდ 50 პროცენტი გაამართლა: უნგრელებს ჰყავდათ ძლიერი თავდასხმა და არანაკლებ სოლიდური დაცვა. ყოველ შემთხვევაში, მისი დაძლევა დინამოელებმა ვერ შეძლეს.

„დინამო" შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა. თავად განსაჯეთ: გუნდს აკლდნენ გოგია, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, გუცაევი, გ. ნოდია, კუტივაძე, ებრალიძე... ეს თითქმის მთელი გუნდია და, ამდენად, წაგებასაც საფუძვლიანი ობიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ მით უფრო მეტი მონდომება, ენერგია და თავდადება უნდა გამოეჩინათ ახალგაზრდებს, რომლებსაც ევალებოდათ ღირსეულად შეეცვალათ ძირითადი მოთამაშეები, ყველაფერი ეღონათ კოლექტივის წარმატებისთვის. მათ კი ეს არ მოინდომეს და ერთობ უფერულად,

ფეხბურთი

უხალისოდ ითამაშეს. მათ ვერ გავამართლებთ, ვინაიდან საქმე ეხება არა ფეხბურთელთა საერთო ინდივიდუალურ კლასსა და უნარს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მონდომებას, მობილიზებას, ბრძოლისუნარიანობას.

ჩვენი გუნდის დაცვაში ხშირი იყო ტაქტიკური შეცდომები, ნახევარდაცვაში ასათიანის გარდა არავინ ცდილობდა კომბინაციური ურთიერთობა დაემყარებინა თავდასხმასთან. მჭედლიშვილი, მაგალითად, ბურთის გაუთავებელი, უთავბოლო ტარებით იყო გართული და არავითარ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ როგორ იყვნენ განლაგებული მინდორზე პარტნიორები, ვინ როდის და სად „იხსნებოდა" ბურთის მისაღებად. სუსტად ითამაშა რეხვიაშვილმაც, რომელიც სისტემატურად აყოვნებდა კარში დარტყმას, თუმცა საამისო შესაძლებლობა მას არაერთხელ შეექმნა.

ერთი სიტყვით, დინამოელმა ახალგაზრდებმა ვერ გაამართლეს იმედები. თუ პირველ ტაიმში ისინი ასე თუ ისე იბრძოდნენ, შესვენების შემდეგ მთლიანად დათმეს მინდორი...

მატჩის ბედი გადაწყდა ბოლო წუთებში. ჯერ ი. ხორვატმა ძელს მიღმა აზვიდრა ბურთი, მერე, 83-ე წუთზე, ბეგეის შორეულმა დარტყმამ მიაღწია მიზანს, დასასრულს კი კორშაიმ კარგად გამოიყენა კუთხური მოწოდება და, როცა მაღალ ბურთზე არც მეკარე გამოვიდა წინ, არც მცველები ჩაებნენ ბრძოლაში, მეორე გოლი გაიტანა.

**რ. ძორიძე.**

# დანაკარგი აინაზღაურეს

1965 წლიდან მოყოლებული, თბილისის „ლოკომოტივის" წყალბურთელთა გუნდი 6 წლის მანძილზე „ა" კლასის II ჯგუფში თამაშობდა. „ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ კოლექტივს წლეულს რამდენიმე აღიარებული წყალბურთელი შეემატა. გუნდს კარგი რეზერვიც ჰყავს. მოზარდები ბოლო დროს წარმატებით ასპარეზობენ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე.

რკინიგზელმა წყალბურთელებმა წლევანდელ სპორტულ სეზონში რესპუბლიკურ პირველობაში დაამტკიცეს, რომ ძალუძთ შესწევდათ II ჯგუფში დაკარგული ადგილის დაბრუნების უნარი. გუნდი ოპტიმისტურად განწყობილი გაემგზავრა ჯერ მოსკოვში საწვრთნელ შეკრებაზე, შემდეგ კი ასტრახანში, სადაც „ა" კლასის II ჯგუფის საგზურისთვის დავა ჰქონდა ათ კოლექტივს — მოსკოვის, ტაშკენტის და თბილისის „ბურევესტნიკს", ლვოვის „დნესტრს", კაუნასის „ჟალგირისს", ერევნის „დინამოს", ფრუნზეს „ალგას", აშხაბადის „ზახმეტს", ასტრახანის „სპარტაკს" და თბილისის „ლოკომოტივს". მიზანს მიღწეულად ის გუნდი ჩათვლიდა, რომელიც პრიზიორთა სამეულში დაიმკვიდრებდა ადგილს.

თბილისელმა რკინიგზელებმა ამ შეჯიბრებაში III ადგილი დაიკავეს მასპინძლებისა და ფრუნზეს კოლექტივების შემდეგ. ლიდერთან და მეორე პრიზიორთან მათ ერთნაირი ანგარიშით — 3:5 — წააგეს. მესამე მარცხი ჩვენებმა აშხაბადელებისგან იწვნიეს — 3:4. სამაგიეროდ, ასეთივე ანგარიშით სძლიეს მოსკოველ და თბილისელ სტუდენტებს, მოუგეს ტაშკენტელებს — 8:3, ერევნის „დინამოს" — 7:3, „დნესტრს" — 6:3, „ჟალგირისს" — 5:4.

როგორც მწვრთნელმა გ. ნიორაძემ გვითხრა, კოლექტივის ამ წარმატებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს გამოცდილმა მოთამაშეებმა ჯ. თორთლაძემ, ჯ. წიკლაურმა, ვ. დადივაძემ და ნ. შაშკინმა.

ტურნირის საუკეთესო მცველის პრიზი გადაეცა ჯ. წიკლაურს.

თავგამოდებით იბრძოდნენ ახალგაზრდებიც. ძმებმა თ. და ნ. ნებიერიძეებმა, ა. ტრეპეტუნმა და ზ. ნიორაძემ პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. ასე რომ, გუნდმა დანაკარგი სარგებლით აინაზღაურა.

მწვრთნელმა ხაზგასმით აღნიშნა შეჯიბრების კარგი ორგანიზაცია და ობიექტური მსაჯობა. პირველად ამ შეჯიბრებაში მსაჯები გუნდების სტარტზე გამოძახების დროს ინიშნებოდნენ.

**თ. გაჩეჩილაძე.**

წყალბურთი

# დევისის თასზე

როგორც ცნობილია, დევისის თასის გათამაშების ევროპული „ა" ზონის პირველი ფინალისტი სსრ კავშირის და პოლონეთის ნაკრები გუნდების მატჩში გამოვლინდა. მოგაგონებთ, საბჭოთა ჩოგბურთელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4:1.

მეორე ფინალისტის ვინაობა რუმინეთ — იტალიის მატჩმა გაარკვია. ნახევარფინალში რუმინელებმა (ი. ნესტასე, ი. კირიაკი, პ. მარმურიანუ) ანგარიშით 4:1 სძლიეს მეტოქეს.

სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა 14-16 ივლისს გაიმართება მოსკოვში.

„ბ" ზონის ორივე ფინალისტის ვინაობა ცნობილია. ერთია ესპანეთის ნაკრები, რომელმაც მონაკოელებთან მატჩში გაიმარჯვა ანგარიშით 5:0. მეორე ნახევარფინალური წყვილის — ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის მატჩი ჩეხოსლოვაკიის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 3:2.

* * *

აშშ-ს ნაკრები თავის ზონაში ხვდება მექსიკის ეროვნულ გუნდს. ჯერჯერობით წინ არიან ამერიკელები: სმითმა დაამარცხა ზარაზუა — 6:2, 6:1, 6:2, გორმენმა — ლოიო-მაიო — 8:6, 6:3, 7:5.

# ნორჩი მთამსვლელები — ულუბაშზე

ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების 27-ე წლისთავს მიეძღვნა აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობისა და სოფელ ალიბეგლოს შ. რუსთაველის სახელობის ქართული საშუალო სკოლების IX-X კლასების მოსწავლეთა გაერთიანებული ჯგუფის ლაშქრობა კავკასიონის მწვერვალ ულუბაშზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1960 მეტრია.

ნორჩმა მთამსვლელებმა ბევრი სიძნელე გადალახეს და მიზანსაც მიაღწიეს.

ლაშქრობას ხელმძღვანელობდნენ ფიზკულტურის მასწავლებლები ა. დუკაშვილი და ა. ბარიხაშვილი.

**ი. ჭავჭავაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

სოფ. კახი,
აზერბაიჯანის სსრ.

# 19⁴⁵

◆ **მოსკოვი**, 19 ივნისი. 25 ივნისს ვოროშილოვგრადის „ზარიას" ფეხბურთელთა გუნდი გაფრინდება ბრაზილიაში „ინდეპენდენსიას თასის" გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად (ბრაზილიის დამოუკიდებლობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი). „ზარიას" რიგებში მიწვეული არიან: ა. კავაზაშვილი (ქუთაისის „ტორპედო"), ქ. ასათიანი (თბილისის „დინამო"), ვ. პორკუიანი (დნეპროპეტროვსკის „დნეპრი"), ვ. მუნტიანი, ა. ბიშოვეცი (ორივე — კიევის „დინამო"). 29 ივნისს საბჭოთა ფეხბურთელები პირველ მატჩში ურუგვაის ნაკრებს შეხვდებიან.

◆ **ბეკნემი** (ინგლისი), 19 ივნისი. ბეკნემის ტრადიციულ ღია ტურნირში მოსკოველმა ო. მოროზოვამ I ადგილი დაიკავა წყვილთა თანრიგში: მან და ამერიკელმა შარონ უოლშმა ფინალში სძლიეს ლაურა დიუპონსა და მონა შალოს (ორივე — აშშ) — 8:6, 6:1. სამაგიეროდ, საბჭოთა ჩოგბურთელი ვაჟების დუეტი (ა. მეტრეველი — ს. ლიხაჩოვი) დამარცხდა პ. გონსალესთან (აშშ) და ტ. ულრიხთან (დანია) გადამწყვეტ მატჩში — 9:7, 4:6, 3:6.

◆ **ლონდონი**, 19 ივნისი. დევისის თასის გათამაშების მსგავს შეჯიბრებაში, ოღონდ ჩოგბურთელ ქალთათვის, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა ვადამდე მოიპოვა უაიტმენის თასი: დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებთან მატჩში იგი დაწინაურდა ანგარიშით 4:1. დარჩენილი ორი შეხვედრის შედეგები თასის მფლობელის ვინაობას ვეღარ შეცვლის. სტუმრებს წარმატება მოუტანა „ამომავალმა ვარსკვლავმა", 17 წლის კრის ევერტმა. მან სამი შეხვედრა მოიგო, მათ შორის, ერთ მატჩში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს ვირჯინია უეიდს სძლია.

რედაქტორი მ. ჭაჭაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04555